№1049 2015 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

სარკინიგზო გადაზიდვის ტარიფის გაანგარიშებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწონებისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ჰაიდელბერგცემენტის ჯგუფში შემავალი კომპანიებისთვის (შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ და შპს „ქართული ცემენტი“) 2015 წლის 1 იანვრიდან მომდევნო 3 (სამი) წლის განმავლობაში დედოფლისწყაროდან რუსთავამდე კირქვის რკინიგზით გადაზიდვის ტარიფის გაანგარიშების, შესაბამისი კურსის დაფიქსირებისა და კურსთა შორის სხვაობის სახით, 2015 წლის 1 იანვრიდან გადახდილი თანხის სს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშზე, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“/შპს „ქართული ცემენტის“ (ტვირთგამგზავნი ან ტვირთმიმღები) აქტივის სახით ასახვის თაობაზე.

2. დაევალოს სს „საპარტნიორო ფონდს“, უზრუნველყოს სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**